26/08/2024

MES 5 24 0001015386

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის დაწყების დრო: 15:00 საათი
დასრულების დრო: 17:25 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: კახა შენგელია
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

საბჭოს სხდომის ეფექტური ორგანიზებისა და შეფასების პროცესში ჩართული მხარეებისათვის მოქნილი სამუშაო პირობების შეთავაზების მიზნით, საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 12 აგვისტოს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
6. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
8. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
9. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
10. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

11. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
13. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი;
14. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
15. **ჩინჩალაძე ნინო** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3. **ანი ბილანიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

1. **ვახტანგ ლეჟავა** - რექტორი
2. **ნათია სამუშია** - პრორექტორი
3. **მარინა ქარჩავა** - პრორექტორი
4. **შაკო თავაძე** - სტუდენტების დეკანი
5. **ანკა თაბუკაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
6. **მარიამ მოქია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
7. **მარიამ ჯაფარიძე** - საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი
8. **ნანა რამიშვილი** - ბიბლიოთეკის მენეჯერი
9. **მარიამ ყორღანაშვილი** - სამეცნიერო საქმიანობის კოორდინატორი
10. **გურამ ჩიქოვანი** - არაბული ქვეყნებისა და ისლამური სამყაროს შემსწავლელი ცენტრის დირექტორი
11. **გიორგი კაციტაძე** - საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის ასოცირებული დეკანი / აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დირექტორი
12. **ნუცა ბათიაშვილი -** სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი
13. **მარინა კუნჭულია** - კოგნიტურ ნეირომეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
14. **გიორგი ბედინეიშვილი** - ბიზნესის სკოლის დეკანი
15. **მაიკლ სონდერსი** - შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
16. **გურამ ვარდიაშვილი** - ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
17. **ნატალია ხუბაშვილი** - მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების და ინჟინერიის სკოლის და ფიზიკის სკოლის კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- მილან პოლი (Milan Pol)
- ელენე ჟურავლიოვა
- დავით სიხარულიძე
- გაიოზ ფარცხალაძე
- გიორგი მერაბიშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, მილან პოლი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა არაერთი ასპექტი უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რომლებიც აისახა დასკვნაში. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ყველა სტანდარტი საბოლოო ჯამში შეფასდა სრული შესაბამისობით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი კომპონენტი არ იყო მეტწილად შესაბამისობით შეფასებული. ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც ეხებოდა სამეურვეო საბჭოს, კურსდამთავრებულთა ფონდის, ეკო მეგობრული ტექნოლოგიების შექმნას და ერთობლივი პროგრამების განხორციელებას აგრარულ უნივერსიტეტთან ერთად.

მილან პოლმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიმართ გაიცა ხუთი რეკომენდაცია. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სამოქმედო გეგმისა და ფინანსების კავშირს, რომელსაც მოითხოვდა არსებული სტანდარტი. ასევე რეკომენდაცია ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხს. დაწესებულება იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას და პრაქტიკას, რომელიც გამოიხატება მოწვეულ მომხსენებლებში, თუმცა სასურველია, რომ უფრო ხელმისაწვდომი იყოს საერთაშორისო სტუდენტების მობილობა განათლების ნებისმიერ დონეზე.

ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების ჩართულობის გაძლიერებას უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, რეკომენდაცია გაიცა სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს განსაზღვრასა და მისი დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხელშეწყობასთან დაკაშირებით. ეს ორი რეკომენდაცია უკავშირდებოდა ბოლონიის პროცესის პრინციპებს და ასევე "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს (ბოლო აღნიშნული რეკომენდაცია).

ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასებას და ანალიზს უნივერსიტეტში. ასევე მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მკაფიო გეგმის ჩამოყალიბებას კვლევითი აქტივობის მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით.

ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება იყო პოზიტიური და გაცემული რეკომენდაციები ემსახურებოდა გარკვეული ასპექტების შემდგომ განვითარებას დაწესებულებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, ვახტანგ ლეჟავა, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ის, რაც დაწესებულების მიერ აუცილებლად შესასრულებელია, არის დირექტივები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები არ შეიძლება იყოს სავალდებულო. ეს არის მხოლოდ ოქსიმორონი. მისი თქმით, სტანდარტები რეგულაციებისაგან განსხვავდება იმით, რომ სტანდარტი აწესებს მიზნებს, ე.წ „თამასებს“, რომელთა მიღწევაც არის შემსრულებლის გადაწყვეტილება. რეგულაციებში გაწერილია არა მარტო სასურველი შედეგები, არამედ მათი მიღწევის გზებიც. ავტორიზაციის პროცესში საუბარი უნდა იყოს სტანდარტებზე შედეგებთან მიმართებით, თუმცა ეს შედეგები როგორ მიიღწევა, უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხს წარმოადგენს. ფაქტობრივ გარემოებებს,

რომლებზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეყრდნობოდა, დაწესებულება აღიქვამს მოსაზრებებად, და არა რეკომენდაციებად. შესაბამისად, როდესაც ექსპერტთა ჯგუფის და დაწესებულების მოსაზრებები განსხვავდება ერთმანეთისაგან, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უნივერსიტეტის ავტონომიას, რათა დააკმაყოფილოს მან სტანდარტები ისეთი მეთოდებით, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის.

წინა ავტორიზაციის შემდეგ თავისუფალი უნივერსიტეტის საქმიანობა არის შეფასებული, როგორც „გაუარესება“. რადგან წინა, 2018 წელს გავლილი ავტორიზაციის შეფასების დროს დაწესებულებას არ ჰქონდა რეკომენდაციები. თუმცა, დაწესებულება 2018 წლის შემდეგ არის ბევრად უფრო ძლიერი, გამართული და წარმატებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. როდესაც „გაუარესებაზეა“ საუბარი, ამისთვის უნდა არსებობდეს ძალიან მყარი საფუძვლი და მტკიცების ტვირთი უნდა იყოს ექსპერტებზე. წინა ავტორიზაციის ექსპერტები, რომელთა თავმჯდომარეც იყო ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი „მამა“ გაი ჰუგი, წერდნენ, რომ დაწესებულება არის იმ ძალიან ცოტა უნივერსიტეტს შორის (გლობალურად), რომელიც ჭეშმარიტად არის ორიენტირებული სტუდენტების ინტერესებზე. ამის საპირისპიროდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ქვესტანდარტი არის გაუარესებული ამჟამინდელი შეფასების მიხედვით, რომელიც დაწესებულების ამბიციებისთვის და იმ ფაქტობრივი გარემოებებთან არის შეუთავსებელი, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს ანგარიში.

5.2 ქვესტანდარტში მოცემული იყო შემდეგი შინაარსი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია თთუ-ში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების/სტრუქტურების შექმნისა და დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა“. როდესაც უნივერსიტეტი ერევა სტუდენტების თვითორგანიზებაში, ეს აღარ წარმოადგენს თვითორგანიზებას. ძირითადი პრინციპი უნდა იყოს მხოლოდ ძირიდან წამოსული ინიციატივები. თუ რექტორატი ან ადმინისტრაცია დაიწყებს სტუდენტების ორგანიზებას, მაშინ ჭეშმარიტად ეს არ იქნება თვითმმართველი ორგანიზაცია. უნივერსიტეტი უარს ამბობს ადმინისტრაციის მიმართ ლოიალური თვითმმართველობის ორგანოს შექმნაზე, რომელიც განახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით დასახულ მიზნებს. ეს არ არის სასიკეთო როგორც სტუდენტისთვის, ისე დაწესებულების მართვისთვის. სტუდენტური ელიტების შექმნა გამოიწვევს სტუდენტებს შორის არაჯანსაღ კონკურენციას. მან აღნიშნა, რომ სტუდენტების უფლებები დაცულია. მათი რეალიზებისთვის, თვითმმართველი ორგანიზაციების და ასოცირების თავისუფლება დაწესებულებაში არის უზრუნველყოფილი. ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიაში. ამრიგად, არ არსებობს იმის ლეგიტიმური საფუძველი, რომ შეიქმნას თვითმმართველობითი ორგანოები.

1.2 ქვესტანდარტში მოცემული იყო შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია: „რეკომენდებულია სამოქმედო გეგმის აქტივობებსა და ფინანსურ რესურსებს შორის კავშირის გამოკვეთა“. ვახტანგ ლეჟავას თქმით, უნივერსიტეტი ვერ ხედავს აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველს, რადგან დაწესებულების სამოქმედო გეგმა ფინანსურად უზრუნველყოფილია. ასევე სამოქმედო გეგმის ამოცანებსა და შესრულებას შორის პროპორცია არსებობს. უნივერსიტეტს აქვს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც არსებობს სამწლიანი სამოქმედო გეგმები. ყოველ წელს დაწესებულება აფასებს სამოქმედო გეგმის შესრულებას და ინდიკატორებს, რომლის შემდეგ ხდება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება. უნივერსიტეტი მოქმედებს ერთიანი ბიუჯეტის პრინციპით. დაწესებულებაში არ არსებობს სტრუქტურული ერთეულების ცალკე ბიუჯეტი. მაგალითად, როდესაც უნივერსიტეტი გამოსცემს ჟურნალს, მას აკუთვნებს პიარის და „IT“-ის ხარჯებსაც. შესაბამისად, დაწესებულებაში გამოცემული ჟურნალების არსებობა ადასტურებს იმას, რომ ყველაფერი ფინანსურად უზრუნველყოფილია. მისი თქმით, თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს კომპეტენცია, რომ ფინანსური მენეჯმენტის ისეთი განათლება მისცეს სტუდენტს, რომ გახდეს საქართველოს ყველაზე მდიდარ ადამიანი, ან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ან საქართველოს ფინანსთა მინისტრი და ა.შ.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ 2.1 ქვესტანდარტში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია გადაიხედოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და

გაფართოვდეს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა სტუდენტებისთვის სწავლების ყველა დონეზე“. თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს მხოლოდ ქართულენოვან პროგრამებს, რადგან ასეთი იყო დაწესებულების დამფუძნებლის ნება, რომელიც მისიაშიც და სტრატეგიაშიც დეკლარირებულია. უნივერსიტეტის 50%-ზე მეტ აკადემიურ პერსონალს მინიმუმ აქვს ან ძალიან მყარი საერთაშორისო გამოცდილება, ან აკადემიური ხარისხი მიღებული უცხოეთში. საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა ყველა სტუდენტს აქვს სწავლების ყველა დონეზე. კურსდამთავრებულების 20%-ი უცხოეთში აგრძელებს სწავლას.

5.1 ქვესტანდარტში მოცემული იყო შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია: „რეკომენდებულია სტუდენტების ჩართულობის მხარდაჭერა თთუ-ის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში“. მისი თქმით, დაწესებულებისთვის გაუგებარია აღნიშნული რეკომენდაციის არსებობა დასკვნაში. უნივერსიტეტმა ექსპერტებს გაუზიარა სტუდენტების ის ინიციატივები, რომლებმაც ასახვა პოვეს როგორც სილაბუსებში, ისე კურიკულუმში. შესაბამისად, ამ მხრივ კომუნიკაციის არხები სტუდენტებისთვის ღიაა.

„ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, გუგა ვარდიაშვილმა, განაცხადა, რომ ელექტრომაგნიტური სისტემების კურსის განმავლობაში სტუდენტებმა გაიარეს კურსის ხელმძღვანელთან კონსულტაცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მესამე წლის მეორე სემესტრში გადმოსულიყო სასწავლებლად აღნიშნული კურსი. ეს საგანი არ ისწავლება ონლაინ, რაც მოსახერხებელია როგორც სტუდენტისთვის, ისე ლექტორისთვის.

„შენობების სისტემების ინჟინერიის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, მაიკლ სანდერსმა, აღნიშნა, რომ ამ პროგრამაში იყო ერთი პროგრამის მეთოდოლოგია ზოგადი პროგრამირების სასწავლებლად. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ეს არ იყოს ინჟინრებისათვის. შესაბამისად, სტუდენტების „Feedback“-ისთვის გადაწყდა ახალი კურსის შექმნა „პროგრამირება ინჟინრებისთვის.“

ბიზნეს სკოლის დეკანმა, გიგა ბედინეიშვილმა, განაცხადა, რომ სტუდენტები ეფექტურად არიან ჩართულნი აკადემიურ ასპექტებთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც განხორციელდა დაწესებულებაში წინა ავტორიზაციის შემდეგ იყო საბაკალავრო პროგრამებში კონცენტრაციების გაუქმება, რომელსაც მოჰყვა სისტემატური შეხვედრები სტუდენტებთან კონცენტრაციების გარეშე სწავლების გაცნობის მიზნით.

პრორექტორმა, ნათია სამუშიამ აღნიშნა, რომ სტუდენტები, რომლებიც აკადემიური საკითხით არიან დაინტერესებული, ზუსტად იციან ვის მიმართონ და როგორ იმოქმედონ. აკადემიურ საკითხთან დაკავშირებით მათ შეუძლიათ მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს. არსებობს ორი ტიპის აკადემიური ნაწილი. ერთი, როდესაც სტუდენტს არ მოსწონს და იდეა აქვს გააუმჯობესოს არსებულ სასწავლო კურსი, მეორე, როდესაც ახალი კურსის დამატება იქნებოდა მნიშვნელოვანი მათი ცოდნისთვის. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი მოითხოვს სტუდენტის მხრიდან მეტ არგუმენტაციას. ოცზე მეტი საგნის დამატების მაგალითია მოყვანილი არგუმენტირებულ პოზიციაში ბოლო საავტორიზაციო პერიოდში სტუდენტების ინიციატივით.

ვახტანგ ლეჟავამ 6.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ორი წელი მოანდომა მსჯელობას სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემის ჩამოსაყალიბებლად. მისი თქმით, ხელშეუხებელი სიკეთეების გაზომვა რთული და კომპლექსურია. შესაბამისად, განსხვავებული სფეროს შედეგები რთულია ერთ სკალაზე გაიზომოს. როგორც სტუდენტის, ისე სამეცნიერო და ერთეულების საქმიანობის შეფასება არის კონფიდენციალური, რომელიც დეკლარირებულია.

თავისუფალი უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანმა, ნუცა ბათიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში, სადაც უნიფიცირებული და ცენტრალიზებული მექანიზმია კვლევითი პროექტების შეფასების, ამბიციური ინოვაციური პროექტების ადამიანებისთვის ეს შემზღუდველია. შესაბამისად, ის მექანიზმი, რომელიც ამჟამად უნივერსიტეტს გააჩნია, ინოვაციური პროექტების ინიციატორებს ხელს უწყობს პროდუქტიული საქმიანობის წარმოებაში. რამდენიმე დონიანი მექანიზმი გულისხმობს

ნომინალური ნიშნულების თვალსაზრისით გაზომვას კვლევითი საქმიანობის. უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ნომინალური ნიშნულების საფუძველზე არ ფასდება მკვლევართა საქმიანობა. ამრიგად, კვლევითი საქმიანობა ფასდება როგორც სკოლების, ისე სამეცნიერო ინსტიტუტების დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა გურამ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ კვლევითი საქმიანობა შეფასდა „გაუარესებად". დაწესებულება, რა თქმა უნდა, არ იზიარებს აღნიშნულ შეფასებას. როდესაც საუბარია კვლევაზე, მასში იგულისხმება, როგორც კაბინეტური, ისე საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მასალების შესწავლა. უნივერსიტეტისთვის უფრო პრიორიტეტულია საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მასალების შესწავლა. როდესაც მკვლევარი გადის ველზე და მოიპოვებს შესაბამის მასალებს, მისი შესწავლა ხდება გარკვეული მეთოდოლოგიით. ეს უკანასკნელი დროთა განმავლობაში იცვლება. მეცნიერება წინ მიდის. რაც უფრო დრო გადის, მოპოვებული მასალები მნიშვნელოვანი ხდება. შესაბამისად, უნივერსიტეტმა აირჩია ასეთი გზა. მაგალითად, ცენტრალურ აზიაში საველე სამუშაოების მოპოვების დროს, მკვლევრებმა აღმოაჩინეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც უპასუხებდა შუა საუკუნეებში, კერძოდ, აღმოსავლეთში არსებულ სხვადასხვა სისტემებს (მაგალითად, გადასახადების სისტემებს). ამით შესაძლებელი გახდა დავით აღმაშენებლის მიერ დაწესებული გადასახადის რაობის დადგენა, რომელთა დაკავშირებითაც დიდი ხანია მიმდინარეობს კვლევა. აღნიშნულ კვლევაში ჩართული იყვნენ კემბრიჯისა და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტები. ცენტრალურ აზიაში მოიძებნა ისეთი ტერმინი, რომელიც იყო დაფიქსირებული საუკუნეების განმავლობაში და აღნიშნავდა „სამხედრო გადასახადს". დავით აღმაშენებელმა სამხედრო გადასახადი არაბებს უფრო ნაკლები დაუწესა, ვიდრე ქართველებს. როდესაც ველზე გადის მკვლევარი, მან წინასწარ არ იცის თუ რა სახის მასალა ჩაუვარდება ხელთ. ამას მეცნიერებაში ჰქვია ლინგვისტური არქეოლოგია. არაერთ სტუდენტს მიუღია საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა. შესაბამისად, სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით, უნივერსიტეტს აქვს წინსვლა და არა უკუსვლა.

აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დირექტორმა, გოგი კაციტაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია ე.წ. „დუალური განათლება". ე.ი. თეორიულ სწავლებასთან ერთად, პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსების შესწავლა.

კოგნიტიურ ნეირომეცნიერებათა ინსტიტუტის მთავარ მეცნიერთანამშრომელმა, მარინა კუნჭულიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის იმ მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასებას ვერ ახორციელებს სამეცნიერო აქტივობების. თავისუფალი უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიციური მეცნიერებით, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასების პრობლემა ადმინისტრაციას არ აქვს. ყველა იმ კომპონენტით, რომლითაც მეცნიერი უნდა ფასდებოდეს, დაწესებულებას ანგარიშების სახით აქვს შექმნილი, რომელშიც მოცემულია პუბლიკაციათა გამოქვეყნების რაოდენობა, პროექტზე მუშაობის წესი და ა.შ. მომავალში განსახორციელებელ პროექტზე მუშაობა კი ხორციელდება ერთობლივად როგორც სკოლის, ისე რექტორატის ფარგლებში.

საერთაშორისო ექსპერტმა, მილან პოლმა აღნიშნა, რომ სტუდენტების ჩართულობა აკადემიურ საკითხებში უნდა გაძლიერდეს. კვლევასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა უნივერსიტეტის არაჩვეულებრივი პრაქტიკა, თუმცა მათ ვერ ნახეს მკაფიო მეთოდოლოგია, რომელიც შეეხებოდა შეფასებას და კვლევითი აქტივობების დაგეგმვას. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული გეგმა კვლევითი აქტივობების განვითარების მიზნით.

- **საბჭოს სხდომა დატოვა მამუკა ხუსკივაძემ**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ, კითხვით მიმართა საერთაშორისო ექსპერტს სტუდენტების თვითმმართველობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით. მისი თქმით, სტუდენტური თვითმმართველობა გარდა ძირითადი ორგანიზაციისა მოიცავს პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა კლუბების შექმნასაც. მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციაში.
საერთაშორისო ექსპერტმა, მილან პოლმა განაცხადა, რომ თთუ-ში არ არსებობდა სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა. ეს ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო ტენდენციებს, რომლებიც ხაზს უსვამდა სამოქალაქო განათლების გამოცდილების მნიშვნელობას (ფართო გაგებით) განათლების ყველა საფეხურზე, მათ შორის მესამეზე. ასევე, კარგად არ იყო წარმოჩენილი სტუდენტთა ჩართულობა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში. სტუდენტური თვითმმართველობის არსებობა საქართველოს კანონმდებლობითაც არის განსაზღვრული.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ XXI საუკუნე არის სოციალური მედიის ეპოქა. სტუდენტებისთვის თვითორგანიზაცია შეუფერხებელად ხორციელდება. სტუდენტებს, რომლებსაც სურთ შექმნან ასეთი ტიპის ერთეული ორგანიზაცია, არავინ არ უშლის. ექსპერტებს აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ. თუ საჭირო გახდება ასეთი ტიპის ერთულის შექმნა, დაწესებულება ყველანაირად უზრუნველყოფს მათთვის დახმარებას.
ექსპერტმა გიორგი მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 43-ე, 44-ე და 45-ე მუხლები ითვალისწინებენ სტუდენტური თვითმმართველობების შექმნას. ექსპერტთა მოთხოვნა არ არის ის, რომ დაწესებულებამ ვინმე დანიშნოს თვითმმართველად, არამედ სტუდენტებმა დამოუკიდებლად უნდა შექმნან თვითმმართველობა საკუთარი უფლებების დასაცავად. უნივერსიტეტში არსებობს კლუბები, რომლებსაც სტუდენტები დამოუკიდებლად ქმნიან, თუმცა ისინი ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტის უფლებების დაცვას, მათ სხვა მიზნები და ფუნქციები აქვთ. დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც სტუდენტების მიერ არჩეული იქნება და მათ უფლებებს დაიცვავს ეთიკის საბჭოში. უნივერსიტეტში არსებობს „Student Dean”- პოზიცია, თუმცა, მას სულ სხვა ფუნქციები აქვს და ადმინისტრაციის მიერ არის დანიშნული.
ვახტანგ ლეჟავამ საპასუხოდ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი საკუთარი წესდების შესაბამისად „უმაღლესი განათლების შესახებ“კანონის 43-ე, 44-ე და 45-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ის, რომ სტუდენტები უნდა იღებდნენ მმართველობაში მონაწილეობას, ასეთი ჩანაწერი ამ მუხლებში არ არის.
გიორგი მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი ჩანაწერი მოცემული იყო „უმაღლესი განათლების შესახებ“კანონის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, კერძოდ, „უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში“. გიორგი მერაბიშვილმა, მოიყვანა ციტირება კანონის 43-ე, 44-ე და 45-ე მუხლებიდან.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ჩანაწერი მოქმედებს მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში არსებობს ფაკულტეტის საბჭოები. ფაკულტეტის საბჭოები კი დაწესებულებას არ გააჩნია, რადგან ეს არის უნივერსიტეტის პოლიტიკა. ორგანოებზე, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას ეთიკის საკითხებზე, გავლენა სტუდენტებს ვერ ექნებათ.
ექსპერტმა ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები არ ეხებოდა იმ შედეგს, რომელსაც ეს უნივერსიტეტი დებს. ასევე, კვლევითი მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია არ ეხებოდა იმ კვლევის ხარისხს, რომელიც დაწესებულებაში არსებობს. ექსპერტები მოითხოვდნენ გაცემული რეკომენდაციებით უკეთეს ხარისხს. მისი თქმით, უნივერსიტეტს სურს გაზარდოს სტუდენტთა მიღების კვოტა. ამ საკითხებზე მსჯელობდა ექსპერტთა ჯგუფი დასკვნის შედგენის დროს. შეიძლება ითქვას, რომ ექსპერტთა ჯგუფი ანალიზის/ მიმოხილვის დროს, რეკომენდაციების ფორმირებას ახდენს მოთხოვნილი

რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არსებული რესურსი აკმაყოფილებს პოტენციურად გაზრდილ კვოტას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00 საათი.
დასრულების დრო: 17:15 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისთვის **6** წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 4000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტს (ს/კ 211359448) მიენიჭა ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- 5.1 რეკომენდებულია თთუ-ში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების/სტრუქტურების შექმნისა და დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა.
- 6.3 რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ფარგლებში კვლევითი საქმიანობის ხარისხის, აკადემიური პერსონალის მოღვაწეობისა და კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და ანალიზი. ამ შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების გეგმა.

რჩევები
● სასურველია, თთუ-მ განიხილოს თავისი ჩართულობის შესაძლებლობა საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებში, რაც უფრო თვალსაჩინოდ აისახება ასევე თთუ-ის მისიის განაცხადში.
●სასურველია, თთუ-მ დეკანების დატვირთვის შემსუბუქების მიზნით, განიხილოს ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობების უფრო თანაბრად გადანაწილება ყველა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რითაც დაბალანსდება დაინტერესებულ მხარეთა და სტუდენტთა ჩართულობა.
● სასურველია, სტრატეგიული გადაწყვეტილებების განვითარება, ახალი ERASMUS+ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესაქმნელად.

●სასურველია, თთუ-მ განახორციელოს საჯარო, მტკიცე და სამართლიანი პროცედურები კვლევის დაფინანსებისთვის და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია დაფინანსების შესახებ.
● სასურველია მომზადდეს ჩარჩო, რომელიც მხარს დაუჭერს და წაახალისებს ერთობლივი ხელმძღვანელობის ან ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განვითარებას.
●სასურველია გაუმჯობესდეს სახელმძღვანელო დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის, რათა მხარი დაუჭირონ მათ მიერ დოქტორანტთა ხელმძღვანელობას.
● სასურველია კვლევის ეთიკის სახელმძღვანელოსგაძლიერება და გაფართოება.
●მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალური კომისია ან სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კვლევის პრაქტიკის დეტალურ განხილვაზე და ზედამხედველობაზე.
● სასურველია, სადოქტორო ნაშრომების საჯაროობისა და დისემინაციის გაძლიერება სხვადასხვა არხით, მათ შორის აკადემიური პუბლიკაციებითა და საჯარო ფორუმებით.
●სასურველია მჭიდრო კავშირებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა კვლევით ცენტრებსა და სადოქტორო პროგრამებს შორის.
●სასურველია ეფექტური პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება თთუ-ის საგამოცდო ცენტრში საგამოცდო პროცესის გასაანალიზებლად.
● სასურველია, ბიბლიოთეკის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა დისტანციურად, კამპუსის გარეთ.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა გამოცხადდა დახურულად 17:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა